პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 ივნისი პარასკევი 1972 წელი 2 ქაღ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 134 (15347)

შრომით და სწავლით

ჩვენ ახალგაზრდობისათვის ეს ფრიად მნიშვნელოვან, სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს, განსაზღვრო შინაარსი მომავალ ცხოვრებაში, პირველ გზა, გონივრულად შეუდგე სკოლიდან მიღებული ცოდნის მარაგით პრაქტიკულ საქმეს — აი საკითხები, რომლებიც დღეს მთელი სიგრძე-სიგანით დგება იმ მოზარდების წინაშეც, რომლებიც რვა კლასს ამთავრებენ და იმ ჭაბუკთა და ქალიშვილთა წინაშეც, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, უმაღლეს სასწავლებლებში კი სწავლას ვერ აგრძელებენ. ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა ათეულ ათასობით განიზომება. ეს ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს რესპუბლიკაში 62.000-ზე მეტმა ახალგაზრდამ უნდა მიიღოს საშუალო განათლების ატესტატი, ხოლო რვა კლასის დამთავრების მოწმობა — 82.000-მდე მოსწავლემ. საით წარიმართება მათი მომავალი გზა? — აი საზრუნავი. რვაკლასდამთავრებულთა უდიდესი უმრავლესობა, ცხადია, საშუალო სკოლის მომდევნო კლასებში განაგრძობს სწავლას. ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი — უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ნაწილი მიაშურებს საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს. მაგრამ არის შრომისა და სწავლის ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, რომლის წყაროს სწორედ საშუალო სკოლადამთავრებული ან რვაკლასდამთავრებული ახალგაზრდობა წარმოადგენს. ეს არის პროფესიულულ-ტექნიკური განათლების სისტემა. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებით ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

საქართველოში დიდი და საინტერესო ტრადიცია აქვს პროფესიულულ-ტექნიკური განათლების სისტემას. არსებობის ოცდაათ წელზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ამ სისტემის სასწავლებლები დამთავრებული აქვს ორას ათასზე მეტ კაცს. ეს კვალიფიკაციურ მუშათა მთელი არმიაა, ჭეშმა სამშობლომ მადლიერებით რომ მიიღო. რესპუბლიკაში სამოცდაშვიდი პროფტექნიკური სასწავლებელია, რომლებშიც ოცდათორმეტი ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს და ეუფლება პროფესიას. მარტო მიმდინარე სასწავლო წელს ამ სასწავლებლებში ოცდაორი ათასი ახალგაზრდა მოვიდა. ეს ჭაბუკები და ქალიშვილები ორას ორმოცდაათ სპეციალობას ეუფლებიან. თუ რა ხელმრთელი წონა აქვთ ამ სასწავლებლებს კადრების მომზადების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში, იქიდანაც ჩანს, რომ ისინი ყოველწლიურად ოცი ათასამდე კვალიფიციურ მუშას იძლევიან. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით საქართველოს პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა ხუთწლედის ბოლოსათვის გამოშვებულ ათეულ ათასობით კვალიფიციურ მუშათა შორის ოც ათასამდე ახალგაზრდას, პროფესიასთან ერთად, საშუალო განათლებაც უნდა მისცენ. ყოველივე ეს იმის სრულ საბაბს იძლევა, რომ ახალგაზრდობა მიისწრაფოდეს ასეთი სასწავლებლებისაკენ.

ახლა საჭიროა მჭიდრო კავშირი, შემოქმედებითი ურთიერთთანამეგობრობა იქონიონ ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლებმა და პროფესიულულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა. დაე სკოლის მოსწავლეები კარგად იცნობდნენ თავიანთი ბეჯითი შეგობრების ცხოვრებისა და შრომის, სწავლის პირობებს, პერსპექტივებს, მისწრაფებებს, იცნობდნენ მათს სახელოვან საქმეებს, სისხლსავსე კულტურულ, კომკავშირულ, სპორტულ ცხოვრებას, მათს შესანიშნავ თვითმოქმედებას, ძვირფას ნახელავ-ნაკეთობებს, იმ დიდებულ პროდუქციას, რასაც უშვებს საუკუნის სამოცდაათიანი წლების ეს ნიჭიერი ცვლა მუშათა კლასისა.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფის ამ ძირითადმა წყარომ — პროფესიულულ-ტექნიკური განათლების სისტემამ ფართოდ გაშალა მხრები, გაიზარდა მისი ქსელი, მისი კონტინგენტი, მრავალფეროვანი და უფრო საინტერესო გახდა პროფესიათა სწავლება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მარტო სოფლის პროფესიულულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ოთხ ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს. ქალაქის სასწავლებლებში მზადდება მუშათა ცვლა მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის სხვადასხვა დარგებისათვის, სოფლის სასწავლებლებში სწავლობენ მომავალი ტრაქტორისტები, კომბაინერები, მექანიკანები, მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები და სხვ. აქ სწავლობს ახალგაზრდობა, რომელიც რვაწლედი დაამთავრა. ორი წლის სწავლის შემდეგ მას აძლევენ სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა დიპლომებს.

ახალგაზრდობის დიდი ინტერესით სარგებლობს განათლების ამ სისტემის ისეთი ახალი ხმა, როგორიც საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებია. ამჟამად თოთხმეტი ასეთი სასწავლებელი მოქმედებს. მომავალში ეს რიცხვი გაიზრდება. აქ მიიღებიან ახალგაზრდები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს. ერთი წლის შემდეგ საშუალო პროფესიულულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი იგზავნებიან სახალხო მეურნეობის დარგებში, რომლებიც მოითხოვენ მაღალ ზოგადსაგანმანათლებლო დონეს.

ახლა ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს პროფესიულულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღების ორგანიზაცია, უზრუნველყოფილ იქნას მათი დაკომპლექტება.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცკ-ის ცნობილ დადგენილებებში ჩაწერილია: „სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. უზრუნველყონ, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში უფრო ფართოდ მიიზიდონ მუშა და გლეხი ახალგაზრდობა, სრულად და დროულად დაკომპლექტონ პროფესიულულ-ტექნიკური სასწავლებლები იმათ ხარჯზე, ვინც საშუალო სკოლების მერვე და მეათე კლასები დაამთავრა. მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხებს“. ეს მოთხოვნა შეიძლება წავუყენოთ რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციას, სახალხო მეურნეობის და პროფესიულულ-ტექნიკური განათლების ორგანოებს.

უნდა ითქვას, რომ დღემდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაწილი სუსტად მუშაობს, იმისათვის, რომ მოსწავლეებს თავიდანვე ჩაუნერგოს სიყვარული შრომისადმი, მათს შინაგან მიდრეკილებებთან შესაბამისი პროფესიებისადმი, პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი. ამ საქმეში დიდია კომკავშირის როლი. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ბელისუყურით უნდა ეკიდებოდნენ პროფესიულულ-ტექნიკური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ორგანიზებულად დაკომპლექტების საქმეს. ამას მოითხოვს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები.

დაე იცოდნენ და ღრმად ჩაინერგონ შეგნებაში ახალგაზრდებმა, რომ საამაყოა მუშის წოდება, იმ ქვეყნის მუშისა, რომელიც აშენებს კომუნიზმს.

ფართო გზა პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას!

ᲡᲡᲠᲙ 50

სახელოვანი მეცხვარეები ჩაბმული არიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავდადებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. ამ დღეებში შეუწყვეტელ ნაკადად მიედინება ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის „თეთრი ქარავანი“, მალე დაბანაკდებიან საზაფხულო იალაღებზე. ეს მეურნეობა უმსხვილესია რესპუბლიკაში. მეურნეობამ შარშან სახელმწიფოს ათასობით მანეთის ზეგეგმით პროდუქცია ჩააბარა. წელს ალვანელებმა ხუთ თვეში სახელმწიფოს მიაყიდეს 270 ტონა ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ტონისა.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე მეცხვარე დ. მარუმნაიძე, რომელმაც ყოველ 100 დედაცხვარზე მიიღო 95 ბატკანი და გადაჭარბებით შესრულა მატყლის პარსვის დავალებაც.

ქვემოთ — ალვანელთა ცხვარი მიემართება საზაფხულო საძოვრებისაკენ.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ საუზმე გამართეს **ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲡᲗᲐᲜ** და ამისი მეუღლის პატივსაცემად.

საუზმეზე იუგოსლავიის მხრივ იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც იოსიპ ბროზ ტიტოს ახლავან მოგზაურობაში.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო**, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ე. ვოსი**, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. პ. რუბენი**, სხვა ოფიციალური პირები.

საუზმის დროს ა. პ. კირილენკომ, ე. ა. ვოსმა და ი. ბროზ ტიტომ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

რიგა, 8 ივნისი. (საკდესი). დღეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ **ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲛ** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. პ. კირილენკომ** მონახულეს სალასპილსში ფაშიზმის მსხვერპლთა მემორიალური ანსამბლი. მემორიალის კვარცხლბეკი გვირგვინით შეამკეს ამხ. იოსიპ ბროზ ტიტომ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. ა. პ. კირილენკომ.

მემორიალის გვირგვინებით შემკობას დაესწრნენ ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ე. ვოსი**, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. პ. რუბენი**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ჰ. ი. სტრაუტმანისი**, სხვა ოფიციალური პირნი.

პრეზიდენტის თანმხლები იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი იყვნენ ვ. ი. ლენინის სახელობის „ვეფის“ ელექტროტექნიკურ ქარხანაში.

იმავე დღეს იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ მოსკოვს გაემგზავრა. საპატიო სტუმართან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო**, სხვა ოფიციალური პირნი.

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ რიგიდან მოსკოვში დაბრუნდნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე **ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝ** მეუღლითურთ, აგრეთვე პრეზიდენტის თანმხლები იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

საპატიო სტუმართან ერთად რიგაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. ნ. როდიონოვი**, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში **ვ. ი. სტეპანოვი**. (საკდესი).

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲐᲛᲮ. Ვ. ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲐᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 8 ივნისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანომ **„ლიტერატურნაია გაზეტამ“** თავისი 7 ივნისის ნომერში მეორე გვერდზე გამოაქვეყნა გაზეთის მთავარი რედაქტორის **ა. ჩაკოვსკის** ვრცელი ინტერვიუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. **ვ. მჟავანაძესთან** საათიანი **„გულთა ძმური კავშირი“.**

1928 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს პლენუმზე მაქსიმ გორკის გამოსვლას რომ იხსენებს, რედაქტორი ასეთი კითხვას აძლევს **ამხ. ვ. მჟავანაძეს: როგორ ეხმარება ლიტერატურა პარტიას საბჭოთა ადამიანების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ეროვნული შეზღუდულობისადმი შეურიგებლობის გრძნობით აღზრდაში?**

ამ და სხვა კითხვებზე თავის პასუხში ამხ. ვ. მჟავანაძე საათანადო მაგალითების დამოწმებით თვალნათლივ აჩვენებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურყევ მეგობრობას, რომლებიც ერთობლივი შემოქმედებითი შრომით აშენებენ, ამშვენიერებენ, განამტკიცებენ და იცავენ თავიანთ დიად სამშობლოს — საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირის არსებობის 50 წლის მანძილზე, — ამბობს შემდეგ ამხ. ვ. მჟავანაძე, — საბჭოთა ხალხებმა შექმნეს სოციალისტური რეალიზმის მრავალფეროვანი ლიტერატურა და ხელოვნება, სადაც სხვადასხვა ეროვნული ტრადიციებისა და ენის მხატვრები, რომლებიც შეკავშირებული არიან იდეური მისწრაფებების, შემოქმედებითი მეთოდის, მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიის ერთიანობით, ერთ საერთო საქმეს აკეთებენ. ყოველთვე ამის შედეგად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სოციალისტურ ერთა და ეროვნებათა კულტურების სულიერი დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების კანონზომიერი პროცესი — საბჭოთა ქვეყნის უძლეველობის ძირითადი წყარო და საფუძველი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

ᲑᲐᲣᲛᲘ, 8 ივნისი. (საქინფორმის კორ.). დღეს აქ მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა აჭარის მშრომელთათან შეჯიბრებაში ჩაბმული ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოეგრადის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ბლაგოეგრადის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ საიდეკი.

ბათუმის აეროპორტში სტუმრებს გულთბილად, ძმურად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თსილაიშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე და სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩამოსვლის დღეს დელეგაციის წევრები მიიღეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში.

ᲛᲝᲖᲦᲕᲐᲕᲓᲐ...

ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲗ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲒᲡ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ უფრო მატულობს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში უკვე მოკრეფეს წლიური გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის ნახევარი. ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის მეჩაიეებმა წელს უნდა მოკრიფონ 1.200 ტონა ჩაის ფოთოლი, დღეში 18 ტონა ჩაის კრეფენ.

ამ დღეებში დიდი და პატარა ჩაის პლანტაციებშია გასული. სოფელ „ტრიბუნის“ საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი აკ. ძაძამია) მეჩაიეები ივნისის პირველ დღეებში ნოკრეფენ წლიური გეგმის 70-80 პროცენტს. აქ ყოველდღიურად 80-100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ მანანა კილასონია, ბუცა ელიავა, მერი ცაცვაშვილი, ნათელა პირტახია, ნენუ არაბიძე, თინა კუპრეიშვილი, ლამარა მონია. დიდ წარმატებას აღწევს უმაფავილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი თამარ გოგინაკა. მას უკვე მოკრეფილი აქვს ერთ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ბ. მილიუტინი.

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ

მოსკოვიდან მოწერენ: 7 ივნისს მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის შეთანხმებას საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, ერაყის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრმა მურტადა საიდ აბდელ ბაკიმ.

ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲙᲝᲙᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ საღამოს ქალაქ თბილისსა და საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში დაიწყო ძლიერი კოკისპირული წვიმა. ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის მონაცემების თანახმად ეს იყო იმის შედეგი, რომ ჩრდილო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შემოეჭრა ჰაერის ცივი მასები, რომლებსაც დაეჯახა. სამხრეთიდან წამოსული თბილი ფრონტი.

7 ივნისის საღამოს 19 საათიდან 8 ივნისის დილის 6 საათამდე თბილისში მოვიდა არნახული რაოდენობის ნალექი, რომელმაც თითქმის 140 მილიმეტრს მიაღწია. მდგომარეობა გაამწვავა იმან, რომ ნალექის ძირითადი რაოდენობა მოვიდა დროის უაღრესად მოკლე მონაკვეთში — 7 ივნისის 19 საათიდან 23 საათამდე. ესოდენ მოკლე პერიოდში ამდენი ნალექი თბილისში არ მოსულა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მთელი დროის მანძილზე.

კოკისპირულმა წვიმამ მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანა თბილისის კომუნალურ და საქალაქო მეურნეობას. მთის რელიეფის გამო ქუჩებში წარმოიშვა წყლის მძლავრი ნაკადები და დიდი მონალექი, რომლებიც კატასტროფული მაქსიმუმის გამო ვერ გაატარა ღვარსარინებმა.

წყლის ნაკადმა დაიზიანა ქალაქის თითქმის ყველა ქუჩის საფარის დიდი ფართობები, მთელ რიგ ადგილებში წყლის ნაკადმა წალეკა და დაანგრია საყრდენი და ნაპირსამაგრებელი კედლები. დაირღვა ქალაქის ტრანსპორტის მიმოსვლა. ძლიერ დაზიანდა ძველი საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე ინდივიდუალური საცხოვრებელი შენობები. წყალმა დატბორა სარდაფები.

დროებით მწყობრიდან გამოვიდნენ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ქალაქის ელექტრომეურნეობა და განსაკუთრებით სატელეფონო ქსელადგურების პირველი სართულები და საკაბელე მეურნეობა. არის მსხვერპლი.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა მშრომელთა მონაწილეობით მაშინვე განახორციელეს ენერგიული ღონისძიებანი კოკისპირული წვიმის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამის შედეგად, უკვე 8 ივნისის დილისათვის ქალაქის მეურნეობის უველაზე დიდმნიშვნელოვანი რგოლების მუშაობა ნორმალიზებული იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უსწრაფესად აღმოიფხვრას კოკისპირული წვიმების შედეგები, აღდგეს საწარმოთა და დაწესებულებათა ნორმალური მუშაობა, დახმარება გაეწიოს დაზარალებულთა.

(საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲔᲑᲘ

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მთავართბილმშენის“ № 14 სამშენებლო ტრესტის (მმართველი გ. კეკენაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ჩიჩელაშვილი) კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გაშალა შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი წარმატება მოიპოვა — **ᲮᲣᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲐᲘᲡᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ.**

მშენებლებმა ააგეს 30 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 82.578 კვადრატული მეტრია, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი თვის მოცულობითი გეგმა შესრულებულია 103,6 პროცენტით.

მშენებლები შრომის ტემპს კიდევ უფრო აძლიერებენ. მათ ვალდებულება იკისრეს ივნისში დედაქალაქის მშრომელებს ჩააბარონ 33.000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და ნახევარი წლის დავალება 140 პროცენტით შეასრულონ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. კომუნისტური შრომის საწარმოს — კერამიკული კომბინატის (დირექტორი ვ. ურუშაძე) კოლექტივი რიტმულად და გამართულად მუშაობს გეგმისა და საუბილეო წელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. კერამიკოსებმა პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის დავალება 101,4 პროცენტით შეასრულეს, დავალებას 9 ათასი მანეთით გადააჭარბეს. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 2.500 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 8 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკული ნაწარმი გაუგზავნეს. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 4,1 პროცენტით აამაღლეს.

კომბინატელები ამ წარმატებებს იმით აღწევენ, რომ ფართოდ არის გაშლილი მოძრაობა ხუთი ღღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. მოწინავეთა რიგებში არიან მეწყისქვილე ვ. ხარატიძე, ოსტატი გ. ოთიაშვილი, მემოდელე გ. კობერიძე და ბრიგადა, რომელსაც ზ. ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს.

ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘᲪ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲪ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ (დირექტორი ვ. ებრალიძე) კოლექტივმა უკანასკნელ ხანებში მრავალი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განახორციელა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ფაბრიკის კოლექტივი მომხმარებელს ყოველწლიურად აწვდის ახალ-ახალი ასორტიმენტის საკონდიტრო პროდუქციას. ფაბრიკამ პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის დავალება 102,4 პროცენტით გაანაღდა, დავალებას 369 ათასი მანეთით გადააჭარბა. მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით 97,8 ტონა სხვადასხვა სახის საკონდიტრო ნაწარმი მიიღო.

ფაბრიკაში მკვეთრად გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი, მნიშვნელოვნად შეამცირეს დანახარჯები ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე. ოთხ თვეში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,6 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 20,3 ათასი მანეთით შეამცირეს, დაზოგეს 2,2 ტონა ძვირფასი საკონდიტრო მასალა.

მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს იძლევიან ბრიგადები, რომლებსაც მ. კომახიძე, ა. ურუსაძე, კ. კორძაძე და მეშვეფლაშვილი ხელმძღვანელობენ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲐᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲨᲔᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲙᲐ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ოქტომბრის პლენუმისა და პარტიის XXIV ყრილობის მერე შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პროგრამის განხორციელებაში რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის აქტივიზაციისთვის საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა პრემიები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში საშეფო მუშაობისათვის.

საშეფო მუშაობისათვის პროფსაბჭოს პრემიები ენიჭებათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მოიპოვებენ საშეფო მუშაობის პერსპექტიული გეგმების შესრულებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი შეფობაში, მათ შორის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საწარმო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაგალებათა შესრულებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციის, ტექნიკის მაღალმწარმოებლური გამოყენების სარეზერვო ბაზის განვითარების, სარემონტო სახელოსნოების მშენებლობისა და მათი მოწყობილობით აღჭურვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვების ბაზის შექმნის დავალებათა შესრულებაში, საკვების წარმოების ახალ პროგრესულ ტექნოლოგიაზე გადასვლაში, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაოა სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომის მოძრაობის განვითარებისათვის, სოფლის მშრომელთა გამამგონებლობითი და რაციონალიზატორული მუშაობის განვითარებაში, შექანაბატორთა და შემკეთებელ მუშათა ადრეული მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, სოფლის მოსახლეობაში საყოველთაო ტექნიკური სწავლების მოწყობაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვაში, აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში.

საშეფო მუშაობისათვის პროფსაბჭოს პრემიებს მოსაპოვებლად საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს ასახელებენ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშ

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲖᲘᲣᲠᲘ ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡᲐᲜ

ᲛᲖᲘᲣᲠᲘ უზბეკეთის წარმომადგენლები — მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების დელეგაციების მონაწილეები — ოთხ დღეს სტუმრად იყვნენ თბილისში. ისინი გულთბილად მიიღეს ოქტომბრის რაიონის მშრომელებმა. სტუმრები ინტერესით გაეცნობოდნენ ამ რაიონის სამრეწველო საწარმოებს, ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდნენ ახალ მეგობრებს.

თავის მხრივ უზბეკეთის წარმომადგენლებმა ქართველ მეგობრებს გააცანეს თავიანთი რესპუბლიკის მიღწევები ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში. შუა აზიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ხ. ჯალილოვმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ტ. საბიროვმა, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის იბეკის სახელობის უზბეკეთის ხალხთა ისტორიის მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სადიკოვამ ლექციები წაიკითხეს 26 კომისრის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნებში № 1 სამკერვალო ფაბრიკაში, საქართველოს მოდელების სახლში, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ლექციები წაუკითხეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის" მუშებსა და მოსამსახურეებს.

8 ივნისს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. რიგვავამ მიიღო ტაშენტელ მშრომელთა წარმომადგენლები.

ამხ. ს. რიგვავა გულთბილად მიესალმა სტუმრებს, ილაპარაკა მეგობრობაზე, რომელიც აკავშირებს უზბეკეთისა და საქართველოს ხალხებს, რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმატებებზე. დარბაზობაზე იყვნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ეურნალისტები.

მოძმე რესპუბლიკის დელეგაციის წევრებმა ილაპარაკეს, თქვა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე თბილისმა. სტუმრების სახელით პროფესორმა ხ. ჯალილოვმა გულთბილი მადლობა გადაიხადა გულითადი მასპინძლობისათვის, რომელიც გაუწიეს საქართველოში. (საქინფორმი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ

ᲡᲝᲭᲮᲣᲛᲘ, 8 ივნისი. (საქინფორმის კორ.). ოვანეს თუმანიანი... ხალხთა მეგობრობის მომღერალი. ასე იცნობენ დიდ სომეხ პოეტსა და მწერალს ამიერკავკასიის მშრომელები. ყველა საბჭოთა ადამიანი.

სოხუმში, მეცხრე სომხური საშუალო სკოლის შენობასთან, რომელიც ოვანეს თუმანიანის სახელს ატარებს, გაიმართა გენიალური პოეტის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი. მიტინგზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ლ. უჩანეიშვილმა.

ძეგლი გახსნა აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ი. თარბამ. ჩამოიშალა თეთრი საბურველი, და დამსწრეთა წარმოოდგათ ოვანეს თუმანიანის შთაგონებული სახე. ბრინჯაოს ქანდაკების ავტორია აფხაზი მოქანდაკე ლ. ტანია. ლითონის ფირფიტაზე წარწერილია „ო. თუმანიანი. 1869-1923".

სიტყვა წარმოთქვა მეცხრე სომხური საშუალო სკოლის დირექტორმა ე. ერუკიანმა. მან ილაპარაკა პოეტის მესანიშნავ შემოქმედებით მემკვიდრეობაზე, ამ სასწავლებლის სახელოვან ტრადიციებზე, მის კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც სახელი გაითქვეს ომისა და მშვიდობის დროს. ღიდი სამამულო ომის წლებში ამ სკოლის 200 აღზრდილი მამაცურად დაიღუპა ბრძოლის ველზე.

ხალხთა მეგობრობაზე, რომელსაც თავის ნაწარმოებებში უმღეროდა ოვანეს თუმანიანი, სსრ კავშირის შექმნის მოახლოებულ 50 წლისთავზე — ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მშრომელთა ღღისასწაულზე ილაპარაკა მასწავლებელმა ვ. კანსუზიანმა.

ძეგლის ჰიმნად გაისმა ოვანეს თუმანიანის ლექსები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ᲒᲠᲘᲜᲘᲐᲗ მხოლოდ ოცნებად მიაჩნდათ კოლხეთში სუბტროპიკული კულტურების განვითარება. ამის ახსნა გაუკეთა ჭაობებით იყო განპირობებული. მაგრამ ამ მიწაზე მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცოდნა, ენერგია მოასმარეს ჭაობების დამრობას. მორმისმოყვარე ადამიანებმა და სამამულო ტექნიკამ თითქმის შეუძლებელი შეძლო.

ახლა საათიც გაიხედავთ, ყველგან გადაშლილია სუბტროპიკული კულტურები, განსაკუთრებით ჩაის პლანტაციები. ხობის რაიონის მეჩაიეები უკანასკნელ წლებში გადაჭარბებით ასრულებენ ჩაის კრეფის გეგმებს. ისინი წელს იბრძვიან იმისათვის, რომ ქვეყანას მისცენ 4.500 ტონა სარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ახლა რაიონში ყოველდღიურად 100-120 ტონა ჩაის ფოთოლი იკრიფება. ხობელებმა მაის-ივნისის გეგმით 2.290 ტონა უნდა მოკრიფონ. მაგრამ ისინი დროის გასწრებას ფიქრობენ და სურთ დავალება 20 ივნისამდე შეასრულონ. რაიონის მეჩაიეთა ამ დიდ ლაშქრობაში დაწინაურდნენ საჯიჯაოს ლენინის სახელობის და ანალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობები. საჯიჯაოელები მაის-ივნისში მოკრეფენ 464 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს. აქედან ჩაის საკრეფი მანქანებით მოიკრიფება 70 ტონაზე მეტი. აქ დღეში 20 ტონაზე მეტი ნედლეული იკრიფება. მეჩაიეები ქორდიკო ოკუჯავა, ლუბა მეროხია, ლიდია ზურაბუანა, ბაბუცა ჭაჭია, ცაცა დოლიძე, ვეტერანი მეჩაიე ქსენია კეკალიშვილი დღეში 80-90 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ. ეს გეგმის სამმაგად და უფრო მეტად შესრულებას ნიშნავს. ამ კოლმეურნეობას ენერგიულად უძღვება გამოცდილი მუშაკი ა. ხუნჯუა.

ასევე წარმატებით შრომობენ ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. კვეკულარია). აქ ორ თვეში უნდა მოკრიფონ 390 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო სეზონში 765 ტონა. ახლა ყოველდღიურად 18-20 ტონა ნედლეულს აბარებენ ჩაის ფაბრიკას. კარგად არის მოწყობილი შრომა. ყველა ცდილობს არ ჩამორჩეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. მოწინავე მკრეფავთა შორის სახელი გაითქვეს ქსენია გელენიძემ, ინეზა ადამიამ, ნატრი ჯიშკარიანმა, ვენერა გაბელიამ, ლიანა კიბულარიამ. თვითეული დღეში 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ უკანასკნელ ორ წელიწადში თავი დაალწია ჩამორჩენას და ახლა რეტაბელურად მუშაობს.

აქ შექმნილია 16 მეჩანიზებული რაზოლი, მუშაობს თექვსმეტი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო". ჩაის კრეფა ენერგიულად მიმდინარეობს იმ ბრიგადებში, რომლებსაც ო. ბასილაია, ნ. ქვარცხავა, შ. ჩხეიძე და სხვები ხელმძღვანელობენ.

ჩაის მეჩანიზებულ კრეფაში დაწინაურდა მეჩანიზატორი გ. ზუტაეფაშვილი. მას დღემდე მოკრეფილი აქვს რამდენიმე ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ სეზონში მოკრეფს 39 ტონას. 36 ტონას მოკრეფს ვ. გაგუა, 25-25 ტონას — რ. ქაჯაია და მ. კემულარია. სულ მეურნეობაში გეგმაში მოიკრიფება 533 ტონა ჩაის ფოთოლი.

სოფელ ბიის კოლმეურნეობა დიდი რიდია. ადგრამ აქ ეფექტიანულად იჭრომეს და კოლმეურნეობაც ეკონომიურად მოღონიერდა.

ამის შედეგად კეთილმოწყო სოფლის ცენტრი. აშენდა ორსართულიანი კინტორა და სხვა ობიექტები. ბიელემამ სულ სეზონში უნდა მოკრიფოს 235 ტონა ჩაის ფოთოლი, მაის-ივნისში 118 ტონა. ორი თვის გეგმას 10 ივნისისათვის შეასრულებენ. შეჯიბრებაში დაწინაურდა მეექვსე ბრიგადა, რომელსაც ი. ალექსანდრია უძღვება. მან 30 მაისისათვის შეასრულა მაის-ივნისის დავალება. მოწინავეთა რიგებში არიან ბრიგადები, რომლებსაც ი. ზონია, კ. იოსავა ხელმძღვანელობენ. შეჩაიე გულნარა ალექსანდრიას მოკრეფილი აქვს 1.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სულ გეგმით უნდა მოკრიფოს 2 ტონა. ასევე მოწინავეები არიან ნუნუ იოსავა და მაგლონია თუთბერიძე.

საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი გ. ლატარია) დაძაბულად შრომობს. აქ დიდძალ ჩაის ნედლეულს იღებენ საჯიჯაოს, ახალი ხიბულის, ძველი ხიბულის კოლმეურნეობებიდან და ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან. ფაბრიკის ბუღალტერიის ჩანაწერებით კოლმეურნეობებს ცუდი ხარისხობრივი მაჩვენებლები რიდი აქვთ. საჯიჯაოელების მიერ მოკრეფილი ნედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა, ძველი ხიბულისა — 87 პროცენტი, ხოლო ახალი ხიბულისა — 75 პროცენტი.

რა თქმა უნდა რაიონის მეჩაიეთა ეს მაჩვენებელი ცუდი არ არის, მაგრამ შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ ამ კოლმეურნეობებს შეუძლიათ უფრო გადიდონ პირველი ხარისხის ნედლეულის დონე, ამისათვის საჭიროა კრეფის წესებისა და გადაზიდვის გრაფიკის ზუსტად დაცვა.

ფაბრიკამ წელს ბევრი სიახლე განხორციელდა. საეფექტიანო განყოფილებას გაუკეთდა რკინაბეტონის მალლივი მოედანი. ამის შედეგად ყოფილი საეფექტიანო განყოფილება დამხრისსებელ საამქროს მიემატება. აქ გაკეთდა 70 ტონა ჩაის შესანახი. ამ საამქროს შემატება აგრეთვე 300 კვადრატული მეტრი ფართობი, სადაც დამონტაჟდა ჩაის დამხარისხებელი კომბაინი საკუპაჟე დოლით. ენერგიულად შრომობენ ელექტრიკოსები ხ. ჭანტურია, გ. მელია, მექანიკოსები დ. ყურუა, შ. მირგბატა, ცვლის ოსტატები ზაირა კვირკველია, კ. ბერტახია, ი. ხარაიშვილი, ლენა ჭარხავა.

ამ-უკანასკნელ დღეებში მოსუომა წვიმებმა კარგი სამსახური გაუწია მეჩაიეებს. ახლა კვლავ ახალი ძალით იწყებენ ბუჩქების ვეგეტაციას. მოსალოდნელია მალე საკრეფი ფოთლის მასობრივად შემოსვლა, რაც კარგად უნდა გამოიყენონ ხობელმა მეჩაიეებმა.

ნ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ,
Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ.
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ᲛᲣᲨᲘᲡ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ

ᲬᲚᲘᲡᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ კომუნისტური შრომის სკოლები, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის დასაყრდენი, ნამდვილი კერები გახდნენ. გასული წლის ოქტომბერში ქალაქში ცხრა სკოლა შეიქმნა, რომლებშიც წარმოების 300-მდე ნოვატორი გაერთიანდა სწავლების ამ გონივრულმა ფორმამ თავიდანვე კარგად მოიკიდა ფეხი ორჯონიკიძის სახელობის შახტაში.

საქმე ის არის, რომ ასეთ სიახლეს აქ სათანადო საფუძველი ჰქონდა შექმნილი. საკმარისია აღვნიშნოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ შახტაში კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებას ატარებს 18 კომპლექსური ბრიგადა, 6 უბანი, კომუნისტური შრომის დამკვრელია 208 კაცი, 320 მუშსტვ თავგამოდებით იბრძვის ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის.

ახლა შახტის კოლექტივი შესანიშნავ წარმატებას აღწევს მიტი სათბობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. ორჯონიკიძელებმა შარშან წლიური გეგმის გადამეტებით 21 ათასი ტონა ენერგეტიკული ჭანანახშირი მისცეს სამშობლოს. ტრადიციის არც წელს ღალატობენ. ამ დღეებში შახტის ბუნკერიდან გაიღო ზეგეგმითი „შავი ოქროთი" დატვირთული მორიგი ეშელონები.

ამ შრომითი გამოჯანმრთელების სული და გული არიან კომუნისტები და უპარტიო ნოვატორები. კომუნისტური შრომის სკოლების მსმენელები, რომლებიც პირად მაგალითს უჩვენებენ შრომაში, სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

პოლიტიკური და ეკონომიური ცოდნის შესწავლაში მოწინავეთა გამოცდილების დაუფლებისაგან უდიდესი ინტერესი გამოავლინა შემაჯამებელმა მეცადინეობამ კომუნისტური შრომის იმ სკოლაში, რომელსაც გამოცდილი პროპაგანდისტი, ორჯონიკიძის სახელობის შახტის დირექტორი ლ. ობოლაძე ხელმძღვანეულობს.

სასწავლო წლის უმეტეს დროს მეცადინეობა პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით მიმდინარეობდა: მსმენელები ღრმად სწავლობდნენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებს, პარტიის ეკონომიური, სოციალური და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, დიდი ინტერესით ეუფლებოდნენ ეკონომიური ცოდნის საფუძვლებს, საზოგადებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ნოვატორთა მუშაობის სეგრეგს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ

□

შემაჯამებელი მეცადინეობის თემებიდან გახსოვდა დაბეჭდოვნებულმა პროპაგანდისტმა ცოცხალი საუბრის ფორმით წარმართა. ამან განაპირობა მსმენელთა დიდი აქტივობა. თითქმის არ დარჩენილა ისეთი მსმენელი, რომ საკითხზე პასუხი ვერ გაეცა.

— რას იტყვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის შესახებ? ასეთი იყო პროპაგანდისტის მიერ დასმული პირველი კითხვა.

კითხვაზე პასუხის გაცემა სკოლის აქტიურმა მსმენელმა სამოთ ტექნიკუმსა გ. ონიანმა ისურვა. იგი დაბეჯითებით ლაპარაკობდა იმ ტიტანურ საქმიანობაზე, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გასწია სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის გამმტკიცებისა და შეკავშირებისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის თანმიმდევრულად დაცვისათვის, იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის აგრესიული ძალების ალაგმვისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

როცა საუბარმა ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე გადაინაცვლა, სკოლის მეცადინეობა კიდევ უფრო გამოცოცხლდა, მსმენელებს გააქტიურება დაეტყოთ. ისინი თეორიულ დებულებებს საქმის ცოდნით უკავშირებდნენ ადგილობრივ ცხოვრებას, „შავი ოქროს" მოპოვების საქმიანობას.

მეხუთე საეჭპლოატაციო უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადირმა ა. ხორხორიძემ მარტო მამაცური შრომით როდი გაითქვა სახელი. იგი ბეჯითი სწავლითაც გამოირჩეოდა. მოწინავე მემუხტე დაბეჯითებით ლაპარაკობდა პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საკითხებზე. განსაკუთრებით ვრცლად გააშუქა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში. აშკარად ჩანს, რომ მსმენელებს კარგად უმუშავიათ ყრილობის მასალებზე, შეიმჩნევა, რომ ა. ხორხორიძეს შესანიშნავად იცნობს შახტის ეკონომიურ ცხოვრებას, ერკვევა ეფექტიანობის ამაღლების საკითხებში.

ა. ხორხორიძის დაწყებული საუბარი მოწინავე მსმენელმა ა. დვალმა განაგრძო და ასე დასძინა:

— მერვე თვეა, რაც კომუნისტური შრომის სკოლაში ვსწავლობ, ეს არც თუ დიდი დროა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე სულ სხვაგვარად ვუყურებ და ვიფასებ როგორც საკუთარ, ისე კოლეგების გარჯას. თვალნათლივ ვგრძნობ, რა ჰარმონიულად ერწყმის ჩემი და ჩვენი ბრიგადის წევრების ნაშრომი მთელი საზოგადოების ნაშრომს. მტკიცედ დავრწმუნდი იმაში, რომ თანამედროვე საწარმოს სჭირდება არა მარტო პრაქტიკული ჩვევების მქონე მუშაკი, არამედ ჰუმანიტარიული ბატონ-პატრონი, მხურვალე გულშემატკივარი.

პროპაგანდისტის შემდეგომი კითხვა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევის საქმეში მშრომელი მასების როლის ამაღლებას შეეხება. პასუხს იძლევა სამთო ტექნიკოსი გ. კოკაია, მან ყურადღება გამამახვილა ვ. ი. ლენინის ნაშრომზე, „დიადი თაოსნობა" და ასე განაცხადა: ამ ნაშრომში მოცემულია დებულება იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. ახალ ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე უნდა მივიღოთ ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი მატება. შრომის ნაყოფიერება მკვეთრად ამაღლდება ქვანახშირის მრეწველობაში.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი საუბრები წმენდითი სანგრევის მუშებმა ა. არაბიძემ და ე. დიდბარიძემ. დაეეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების საკითხები კარგად გააშუქა სკოლის მსმენელმა, ცვლის უფროსმა ბ. ჯინჯიხაძემ, სოციალისტური შეჯიბრების როლზე ილაპარაკა და საკითხი შახტის პრაქტიკულ საქმიანობას დაუკავშირა ამფეთქებელმა ხ. არსენიძემ.

დასმულ კითხვებზე ასევე საქმიანად ისაუბრეს და ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს მსმენელებმა ო. გიორგაძემ, მ. კირკიტაძემ გ. ციერკიძემ და სხვ.

შემაჯამებელი მეცადინეობა დამთავრდა. კომუნისტური შრომის სკოლა, რომელიც ორწლიანი პროგრამით მუშაობს, მომავალ სასწავლო წელსაც აგრძელებს მუშაობას.

Თ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ.
„კომუნისტის" საკ. კორ.



ᲐᲚᲐᲖᲜᲔᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ერთ-ერთ დამკვრელურ ობიექტად ითვლება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა. ხუთწლედის ბოლოს საეკსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს სარწყავი-დრენაჟის სისტემის პირველი რიგი, რომელიც ახმეტის, თელავის, გურჯაანისა და ნაწილობრივ სიღნაღის რაიონების მიწებს უზრუნველყოფს მაცოცხლებელი ტენით.

წარმატებით შრომობენ ალაზნელი მშენებლები. ისინი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გამოლილი შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში არიან.

სურათზე: ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან) ელექტრომემონტაჟე ნ. უტალიშვილი, ხური გ. საყვარელიძე, მემონტაჟე ვ. დანილოვი და მძღოლი თ. ქარუმაშვილი.

Ვ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲨᲐᲮᲢᲨᲘ

ᲩᲘᲩᲘᲜᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტაში ტექნიკური სიახლე დაინერგა. შახტის საფიპეტჩეროში დაიდგა ათარხიანი სამრეწველო სატელევიზიო დანადგარი. მორიგე დისპეტჩერები ტელეეკრანის საშუალებით აკვირდებიან შახტის ზედაპირზე მიმდინარე სამუშაო პროცესებს. ახლა მიმდინარეობს სატელევიზიო დანადგარის სამართავი პულტების დამონტაჟება შახტის დირექტორისა და მთავარი ინჟინრის კაბინეტებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲒᲣᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო კონფერენციამ მთიან-ნაოჭა და ბაქნურ ოლქებში საინჟინრო-გეოლოგიურ პრობლემებზე, რომელიც ოთხ დღეს მიმდინარეობდა.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს 80-ზე მეტი მოხსენება საინჟინრო გეოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

კონფერენცია გახსნა მისმა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ი. ბუაჩიძემ.

სხდომებზე მოხსენებებით გამოვიდნენ ამ დარგის ცნობილი მეცნიერები, პროფესორები ე. ხერგეანი, ი. ბუაჩიძე, გ. ბოხდარიანი, გ. ზოლოტარევი, ვ. გოლოდკოვსკაია, პ. პანიუკოვი, გ. სკოროცკი, ი. კომაროვი, ლ. როზოვსკი... გეოლოგიურ-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატები კ. ჯანჯღავა, დ. ჩხეიძე, გ. არეშიძე, ე. ჯავახიშვილი, ლ. ცერცვაძე და სხვ.

ᲗᲑᲘᲐᲜ-ᲜᲐᲝᲭᲐ და ბაქნურ ოლქებში საინჟინრო-გეოლოგიურ პრობლემებზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამართულ ამ დიამნშვნელოვან სრულიად საკავშირო კონფერენციასთან დაკავშირებით „გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელი ესაუბრა კონფერენციის ერთ-ერთ ორგანიზატორს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ᲘᲐᲩᲘᲫᲔ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔს და სთხოვა გაეცნო ჩვენი მკითხველებისათვის კონფერენციაზე განხილულ პრობლემათა ძირითადი არსი.

— აი რა გვიამბო მან.

— მთიან-ნაოჭა და ბაქნურ ოლქებში საინჟინრო-გეოლოგიური პრობლემები მუდამ იპყრობს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ყურადღებას. ამ პრობლემების გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ჰიდროტექნიკური, სამრეწველო, სამოქალაქო და სხვა სახეობათა მშენებლობა, რასაც ფართო ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში. პერსპექტივაშია ისეთი მასშტაბის სამუშაოები, როგორიც არის ვოლგა-კამის სისტემაში ჩრდილოეთის მდინარეთა გადაგდება, მდინარე ობისა — არალის ზღვაში და სხვ., რომლებმაც უნდა შეცვალონ ქვეყნის დიდი ტერიტორიების ბუნება და ჩაყენონ იგი ადამიანთა სამსახურში. საინჟინრო გეოლოგია სულ უფრო და უფრო მკვიდრდება ცხოვრებაში და იქცევა მწარმოებელ ძალად.

სწორედ ამან განაპირობა გარკვეულ ფართობთა სამეურნეო და საინჟინრო ათვისების რთული საკითხების განსახილველად თბილისში სრულიად საკავშირო კონფერენციის მოწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოქიმიის საინჟინრო გეოლოგიის დარგის საბჭოს და ჩვენი ინსტიტუტის მიერ.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულნენეულია ყველა სახის მსხვილ და საპასუხისმგებლო ნაგებობათა ინტენსიური მშენებლობა. ეს კი ბრძოლიელდება მთიან-ნაოჭა რეგიონის რთულ ბუნებრივ პირობებში. ასეთებია, მაგალითად, ენგურჰესი, ფინაღის ჰიდროელექტროსადგური; მსგავს პირობებში წარიმართება ნამახვანისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რთულ გეოლოგიურ პირობებში შენდება აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი სისტემა, კოლხიდის დაშრობის სისტემა, ვითარდება ტყიბულისა და მადნეულის მთიანი სამრეწველო ცენტრები, საგზაო მშენებლობა, განსაკუთრებით რკინიგზის მეორე ხაზი სურამის უღელტეხილზე, საავტომობილო საუღელტეხილო გზები, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობანი თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში და სხვ., რომლებიც განხორციელდება ახლად ასათვისებელ მასივებზე. წყდება საკითხი რესპუბლიკის მოსახლეობის ცენტრალიზებული მომარაგებისა სასურსათო პროდუქტებით, რაც უნდა განხორციელდეს მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტების, მსხვილი მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების სათბურთა სისტემისა და სხვ. მშენებლობის გზით. განხორციელდება საქართველოს შავი ზღვის ნაპირგამაგრების გენერალური სქემა. გაიზრდება საქართველოს სასზღვო ნავსადგურთა სიმძლავრე ახალ ნავმისადგომთა მშენებლობის გზით.

მკვეთრად ძლიერდება შავიზღვისპირის საკურორტო ათვისება, ფართოვდება არსებული და შენდება ახალი მსხვილი საკურორტო კომპლექსები საქართველოს მრავალრიცხოვან მთის ჰავის და ბალნეოლოგიურ კურორტებზე.

მცირე რეგიონის პირობებში, რასაც თან ახლავს მკვეთრი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები, მრავალპლანიანი მშენებლობის ფართო გაქანება მოითხოვს რთულ საინჟინრო-გეოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტას.

საქართველოში მშენებლობის ორმოცდაათი წლის განმავლობა გაიზარდა ლამასებმა საშუალება მოგვცა შეგვეფასა პირველი 1:600 000 მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, რომელზეც ასახულია ტერიტორიის რეგიონალური საინჟინრო-გეოლოგიური პირობები. საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებმა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს ძიებისა და მშენებლობის პროცესში, რაც მიმდინარეობს მთიანი რელიეფის, რთული გეოლოგიურ-ლიტოლოგიური ტიპების და ტექტონიკის პირობებში.

უკანასკნელ ათ წელიწადში გაწეულმა მეცნიერულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გამოვავლინოთ გრუნტებისა და გეოლოგიურ-გენეტიკური კომპლექსების მდგრადობის მაჩვენებლები და გავაკეთოთ იმის პროგნოზი, თუ რა მდგომარეობას მიიღებენ ისინი მშენებლობისას. შესწავლილია ძირითადი კანონზომიერებანი მეწყრული მოვლენებისა, რომელიც დიდ ზიანს აყენებენ საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ და კარგად ათვისებულ ნაწილს. ბიოლოგიურ ნაგებობათა რაიონების გეოლოგიურ-სტრუქტურული ადგილების ანალიზმა მოგვცა ძვირფასი გამოცდილება მაღლივი თაღოვანი კაშხლების ასაგებად რთულ გეოლოგიურ პირობებში.

ყველა ამ და სხვა მასალების სინთეზმა, რომლებშიც შედის შედარებით იშვიათი საშუალო მასშტაბის აგებნები, საშუალება მოგვცა ჩავატარეთ საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონება გეოსტრუქტურული თვისებების მიხედვით ოლქების გამოყოფით, ხოლო ქანების მთავარი გეოლოგიურ-გენეტიკური კომპლექსების საინჟინრო-გეოლოგიური თვისებების მიხედვით — რაიონების გამოყოფით.

ქართველ სპეციალისტთა მიღწევები ეხმიანება იმ დიდ შედეგებს, რაც მოპოვებულია საკავშირო საინჟინრო გეოლოგიაში, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის ზედა ზონაში მიმდინარე გეოლოგიურ პროცესებს. საინჟინრო გეოლოგია გადაიქცა იმ მეცნიერების ერთ-ერთ წამყვან დარგად, რომელიც ამუშავებს ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით ბუნების გარდაქმნის მეცნიერულ საფუძვლებს.

ჩვენმა მეცნიერებმა შეისწავლეს იმ გეოლოგიური პროცესების შექმნის მიზეზები და განვითარების მექანიზმები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ტერიტორიების სამეურნეო ათვისებასა და ნაგებობათა აშენებას, როგორიც არის მეწყერი, ღვარცოფი, დაწევის მოვლენები, კარსტი და სხვ.

ქართველ მეცნიერთა მიერ კოდიფიცირებაზე წაკითხულმა მოხსენებებმა საქართველოს ტერიტორიის, შავი ზღვის შელფური ზონის საინჟინრო-გეოლოგიურ თვისებურებებზე, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადოების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ და მრავალმა სხვამ გაამდიდრა საინჟინრო გეოლოგიის პრობლემათა გადაწყვეტის შედეგები.

კონფერენციის მასალები დიდმნიშვნელოვანია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა ვრცელი პროგრამა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

Ა. ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ-ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ

□

ᲓᲦᲔᲡ მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტების, მსხვილი მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების სათბურთა სისტემისა და სხვ. მშენებლობის გზით.

ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲡᲘ ᲓᲦᲔᲘᲡ

ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა გააკქტიურეს საბრძოლო მოქმედება საიგონიდან დასავლეთით № 1 გზატკეცილზე — მთავარ მაგისტრალზე, რომელიც კამბოჯის საზღვრისაკენ მიემართება.

გუშინ განთავისუფლების ძალების ქვეგანაყოფებმა შეუტიეს საიგონის ჯარების სიმაგრეებს კუტისა და ჩანგბანგის რაიონული ცენტრების: ახლოს საიგონიდან 40-60 კილომეტრზე. ბრძოლები მიმდინარეობს აგრეთვე № 13 გზატკეცილის გასწვრივ მდებარე რაიონებში. ეს მეორე სტრატეგიული გზატკეცილია საიგონსა და კამბოჯის საზღვარს შორის. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები უტევენ მოწინააღმდეგეს ბინლონგის პროვინციის ცენტრში — ქალაქ ანლოკში და მის სამხრეთით.

ბარიონტეთა არმიას განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდა ქალაქ ფუმისთან ბინდინის პროვინციაში. ფუმის გარნიზონი მოწყვეტილია ამ პროვინციაში განლაგებული საიგონის ჯარების ძირითად ძალებს. № 1 გზატკეცილს ფუმი-კოენენის უბანზე მთლიანად კონტროლს უწევენ პატრიოტები. ცენტრალურ პლატოზე ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქ კონტუმის გარშემო ამავე სახელწოდების პროვინციის ცენტრში. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები ჩრდილოეთ სექტორში მოწინააღმდეგეს უტევენ თხითახინისა და კუანგტინის პროვინციების მთელ რიგ რაიონებში.

იუწყებიან, რომ „ბ-52“ თვითმფრინავებმა დაბომბეს № 13 გზატკეცილის უბანი საიგონის ჩრდილოეთით, კონტუმის გარეუბნები და მთელი რიგი სექტორები ჰიუეს ჩრდილოეთით და დასავლეთით.

კამბოჯის განთავისუფლების ძალებმა შეუტიეს ანმპენის ჯარებს 45 კილომეტრზე ანმპენიდან სამხრეთ-დასავლეთით. პატრიოტული ძალების ხელში გადავიდა მთავარი მაგისტრალები, რომლებიც ამ რაიონს ქვეყნის დედაქალაქთან აკავშირებენ.

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ. 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). როგორც სამხრეთ ვიეტნამიდან იუწყებიან, დინლონგის პროვინციაში მოქმედმა განთავისუფლების სახალხო-შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა 2 და 3 ივნისს შეუტიეს მარიონეტთა 21-ე დივიზიის 32-ე და 33-ე პოლკებს, რომლებიც ცდილობდნენ რკალი გაეერღვიათ და ქალაქ ანლოკისაკენ გაჭრილიყვნენ.

განთავისუფლების ძალებმა 28 მაისიდან 2 ივნისამდე 3 ბეერჯერ შეუტიეს საიგონის ჯარების თავდაცვითს მიჯნებს თხითახინის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. მათ მოწინააღმდეგეს დაუხოცეს, დაუჭრეს და დაატყვევეს 240-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოაგდეს 8 თვითმფრინავი და ვერტმფრენაკი.

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ. 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 6 ივნისს ამერიკის ავიაციამ დაბომბა და ეცეცხლი დაუშინა ჰანოის, ჰაიფონის გარეუბნებსა და მთელ რიგ პროვინციებს, დაბომბა სოფლები და დაბები, ქარხნები, ჯებირები და სარიგაციო ნაგებობანი, არის მსხვერპლი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით გმობს ამ დანაშაულებრივ მოქმედებას და მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშროების ხელყოფა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ — ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). ანჯელა დევისი განაგრძობს ბრძოლას პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის. მას განზრახული აქვს უახლოეს დღეებში დაიწყოს საკვირაოები ქვეყანაში, რომლის დროს შეხვდება იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ მის განთავისუფლებას.

ა. დევისი აქტიურ ონაწილეობას მიიღებს შეერთებულ შტატებში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დაცვის ორგანიზაციის საქმეში. ეს მან გამოაცხადა სან-ხოსეში (კალიფორნიის შტატი), სადაც ახლა იმყოფება მამაცი კომუნისტი.

ამერიკის საზოგადოებრიობამ მიაღწია ა. დევისის განთავისუფლებას და ახლა აძლიერებს ბრძოლას ზანგთა თანასწორუფლებიანობისთვის, ჩაგრულთა უფლებებისათვის, წერს ამერიკელი კომუნისტების გაზეთი „დეილი უორლდ“.

ანჯელა დევისის დაცვის ნიუ-იორკის კომიტეტის აღმასრულებელმა მდივანმა ლუზა პატერსონმა განაცხადა, რომ ა. დევისის

ᲡᲘᲜᲗᲐᲥᲣᲠᲘ

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). ფილიპინების პრეზიდენტმა ფ. მარკოსმა წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოეწყოს მოლაპარაკება ფილიპინებზე განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ.

როგორც იუწყებიან, ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრმა ამერიკის მანილის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომელიც შეიცავს კითხვას, დიდხანს აპირებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყენოს თავისი ბაზები ფილიპინებზე.

ფილიპინურმა გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ დაბეჭდა ცნობა ფილიპინების ამ დემარშის შესახებ სათაურით „პრეზიდენტი მარკოსი სთხოვს ამერიკის შეერთებულ შტატებს ნოაციოლის თავისი ბაზები ფილიპინების ტერიტორიას“.

ᲙᲐᲘᲠᲝ — ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲚᲘ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). ალექსანდრიის საბჭოთა კულტურულ ცენტრსა და კაიროს ეროვნულ კონსერვატორიაში გაიმართა ახალგაზრდა ეგვიპტელი პიანისტის, საბჭოთა პედაგოგის ე. მირზოიანის მოწაფის მინუ რაგების კონცერტები.

მ. რაგების ორივე კონცერტმა წარმატებით ჩაიარა და ეგვიპტის მუსიკალური საზოგადოების უურადღება მიიპყრო.

კაიროს გაზეთებმა „პოლიტიკამ“ მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა პიანისტის საშემსრულებლო ხელოვნებას, აღნიშნა, რომ პიანისტს ღრმად ესმის ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, რაჰმანინოვისა და პროკოფიევის რთული ნაწარმოებნი.

კაიროს ეროვნული კონსერვატორიის რექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. გ. ბერიძემ ხაზი გაუსვა კონსერვატორიის ახალი კურსდამთავრებულის ოსტატობას. ნიჭიერ ეგვიპტელ პიანისტს მინუ რაგების ბრწყინვალე მომავალი მოელის, თქვა მან.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲮᲔᲚᲡ ᲣᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲒᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲐᲡ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ ხმის უმრავლესობით მოიწონა მთავრობის ინიციატივით შეტანილი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 38,5 მილიონი დოლარის გამოყოფას ანტისაბჭოური პროპაგანდის ორი რადიოცენტრის „თავისუფალი ევროპის“ და „თავისუფლების“ საქმიანობის დასაფინანსებლად 1972-1973 საფინანსო წელს.

ეს გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა მთელი რიგი ამერიკელი კანონმდებლები, გადაჭრით გამოვიდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა სახსრები იხარჯებოდეს „ცივი ომის“ სულისკვეთებით გაძღენთილი პროპაგანდისათვის ეთერში.

სენატის კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა და კომისიის წევრებმა — სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა მ. მენსფილდმა და სენატორმა საიმინგტონმა არ დაუჭირეს მხარი მთავრობის კანონპროექტს.

„ჩემთვის სრულიად გაუგებარია, — განაცხადა ფულბრაიტმა, — რთგორ შეუძლია მთავრობას შესთავაზოს ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს გაიღონ კიდევ 38 მილიონი დოლარი რადიოსადგურების „თავისუფალი ევროპის“ და „თავისუფლების“ დასაფინანსებლად, როცა სულ რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი ხედავდნენ, რომგორ ნიმართავდა მათი პრეზიდენტი მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხს და არწმუნებდა, რომ ჩვენ გვწამს თვითეული ქვეყნის უფლება შეიმუშაოს თავისი კურსი, აირჩიოს სისტემა და იაროს საკუთარი გზით სხვა ქვეყნების ჩაურევლად“.

ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ სსრ კავშირის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ უზრუნველყოფს საფუძველს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

ასეთი განცხადება გაკეთა სენატის წინაგან საქმეთა საკითხების კომისიაში პრეზიდენტის სამეცნიერო მრჩეველმა ე. დევიდმა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს შორის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს მაღალი შეფასება მისცა დევიდმა. (საკდესი).

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ოლსტერში კვლავ დაძაბულია. არ წყდება ბომბების აფეთქებისა და სროლის ხმა. ჩრდილოეთ ირლანდიის კრონზისიდან თავის დაღწევას ინგლისის მთავრობა კვლავინდებურად სამხედრო ძალის მეშვეობით ცდილობს. ახლა ოლსტერში 25 მცხოვრებზე ერთი შეიარაღებული ბრიტანელი დამსჯელი მოდის. მაგრამ რეპრესიების მიუხედავად პატრიოტები განაგრძობენ ბრძოლას მოქალაქეობრივი უფლებებისათვის.

სურათზე: ბრიტანელი ჯარისკაცები საბრძოლო მზადყოფნაში არიან ბელფასტის ქუჩებში.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ უდიდეს შტატში — კალიფორნიაში გაიმართა პირველადი არჩევნები, რომლებიც აქ მიაჩნიათ მეტად დიდმნიშვნელოვან მოვლენად ქვეყნის ორი ბურჟუაზიული პარტიისაგან — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებისაგან პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატების განსაზღვრაში.

ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ბრძოლამ დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს შორის, რადგან რესპუბლიკურ პარტიაში უდავო ლიდერი დღი ხანია გახდა პრეზიდენტი რ. ნიქსონი.

დემოკრატებს შორის პრეზიდენტობის კანდიდატის უფლებისათვის ერთმანეთს უმთავრესად ეცილებიან სენატორები ჯ. მაკკოვერნი და გ. ჰემფრი. წინა პირველად არჩევნებში ჯ. მაკკოვერმა აჯობა თავის ძირითად მეტოქეებს. მის პროგრამას, რომელიც შეიცავს მოთხოვნებს დაუყოვნებლივ შეწყდეს ვიეტნამის ომი, შემცირდეს სამხედრო ხარჯები, რადიკალურად გადაწყდეს ბევრი კრიზისული საშინაო პრობლემა, ბევრმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი.

წინასწარი მონაცემებით, კალიფორნიაში გაიმარჯვა აგრეთვე სენატორმა ჯ. მაკკოვერმა, რომელმაც ხმების 47 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა სენატორი გ. ჰემფრი — 37 პროცენტი.

როგორც პოლიტიკური მიმოხილვები აღნიშნავენ, ჯ. მაკკოვერს ხმა მისცეს სტუდენტმა ახალგაზრდობამ, ინტელიგენციის, ეროვნულ უმცირესობათა — ზანგებისა და სპანიელების წარმომადგენლებმა.

მაკკოვერნი აგრეთვე პირველ ადგილზე გამოვიდა სამ სხვა შტატში — ნიუ-მექსიკოს, ნიუ-ჯერსისა და სამხრეთ დაკოტის შტატებში.

პირველადს არჩევნებში ბრძოლა მიმდინარეობს არა მარტო პოპულარობისათვის ამომრჩეველთა შორის, არამედ დემოკრატიული პარტიის მომავალი ყრილობის დელეგატობისათვისაც, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ გახდება პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი. მაგალითად, ჯ. მაკკოვერნმა კალიფორნიაში გამარჯვებით გაიარა 271 დელეგატის ხმა, რომლებიც მოვალენი არიან ხმა მისცენ მას ყრილობაზე.

მაგრამ, მთელ რიგ შტატებში, გამარჯვების მიუხედავად, ჯ. მაკკოვერნი მაინც ვერ შეაგროვებს დელეგატთა ხმების ისეთ რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე აბსოლუტურ უმრავლესობას. ეს ნიშნავს, რომ იწყება ყრილობაზე პარტიული ბრძოლა ფარული გარიგება, რომლის შედეგად ჯ. მაკკოვერნის კანდიდატურა შეიძლება უარყონ პირველად არჩევნებში წარმატებების მიუხედავად.

დემოკრატიული პარტიის ყრილობამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი დარჩა. სულ უფრო მწვავდება წინასაარჩევნო ბრძოლა პარტიაში.

(საკდესი. 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ).

ᲑᲝᲜᲝ — ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ. ᲙᲝᲜᲤᲝᲠᲢᲣᲚᲘ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). დასავლეთ გერმანიის ავიაკომპანიის „ჯენერალ ეარ ნორდის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კობმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა რეაქტიული „იაკ-40“ თვითმფრინავის ტექნიკურ თვისებებს. ამ ავიაკომპანიამ შეისყიდა ხუთი „იაკ-40“ თვითმფრინავი საშინაო ხაზებისათვის.

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲨᲘ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

ᲐᲖᲚᲔᲠᲒᲐᲠᲒᲐᲚᲔᲗ ფართოდ აღინიშნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი. სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები.

23 ივნისიდან 15 ივლისამდე ჩეხოსლოვაკიაში ეწყობა საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილესადმი მიძღვნილი მთელი რიგი ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ჩეხოსლოვაკიაში ამ დღეებში გაემგზავრება ჩვენი რესპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა ჯგუფი. გაიმართება ქართველი და ჩეხოსლოვაკიელი მხატვრების, კინემატოგრაფისტების, ჟურნალისტების, მეცნიერების შეხვედრები, ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამოები. გაგზავნილია ლიტერატურული მასალები, რომლებიც აუშვებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში საქართველოს კულტურის, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარებას, აგრეთვე დიაპოზიტივები, გრაფიკურფურცლები და დოკუმენტური ფილმები. მოეწყობა ქართული ფოლკლორული ანსამბლი ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს გაიცნობს ქართულ ხალხურ მუსიკალურ კულტურას, მის ძველ სიგალობლებს, მრავალხმიან ხალხურ და თანამედროვე სიმღერებს, ცეკვლოვან ცეკვებს.

„სალხინო“ ერთ-ერთი პოპულარული კოლექტივია ჩვენს რესპუბლიკაში. ანსამბლში შედის ეოკალური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ერქომაიშვილი, მოცეკვავეთა კოლექტივი რევაზ ჯოხოლიძის ხელმძღვანელობით და ხალხურ საკრავთა ტრიო ო. კელატრიშვილის, ჯ. ყოლბაიასა და გ. მეჯირის შემადგენლობით. კოსკერტებში მონაწილეობას მიიღებს საუტრადო მომღერალი გ. მაისურაძე, რომლის რეპერტუარში იქნება თანამედროვე ქართული სიმღერები. (საქინფორმი).

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲡᲘᲪᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). დასავლეთ ინდოეთის მაჰარაშტრის შტატის ქალაქ ნაგპურში თბო და მზის დაკვრისაგან უკანასკნელი დღეების მანძილზე დაიღუპა 16 კაცი, ძირითადად ბავშვები.

ზაფხულის დადგომასთან ერთად ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებში ამ ქვეყნისათვისაც კი უჩვეულო სიცხე დაიჭირა, რასაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი და გვალვა. როგორც ინდოეთის პრესა იუწყება, ივნისის პირველი კვირის დამლევს სიცხისაგან 600-ზე მეტი კაცი დაიღუპა.

ინდოეთის მთავრობამ 152 მილიონ რუპიაზე მეტი გამოყო სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲙᲔᲜᲘᲐᲨᲘ

ᲜᲐᲘᲠᲝᲑᲘ, 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲔᲡᲘ). წყალდიდობის შედეგად კენიის ნიანზის ოლქში უსაზღვაროდ დარჩა ასობით ოჯახი. მდინარე ნიანდო ადიდდა და ნაპირებიდან გადმოვიდა იმის გამო, რომ უკვე ოთხი თვეა არ წყდება კოკისპირული წვიმები.

უბედურების რაიონიდან მიღებული ცნობებით, 2 ათასზე მეტი სახლი წყალმა დაფარა. გამძვინვარებულმა სტიქიამ დიდი ზარალი გამოიწვია არხის მშენებლობის ზონაში, რომელიც კენიის მთავრობას გაეკვა, ზარალი მიაყენა აგრეთვე გლეხების ყანებსა და პლანტაციებს. განადგურდა ახლახან აღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი.

ᲛᲫᲚᲔᲝᲑᲜᲝᲑᲐ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ მიმდინარეობს უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული საერთაშორისო ასპარეზობა „პრავდის“ პრიზზე.

შეჯიბრების მეორე დღეს 10.000 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა ნ. სპირიდონოვმა მისი შედეგია 28 წუთი და 29.8 წამი.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა სიგრძეზე ხტომაში. ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების მონაწილე ლ. ზორკოვსკი 779 სანტიმეტრზე გადახტა და უკან მოიტოვა ვეტერანები ტ. ლეპ�ა და ი. ტერ-ოვანესიანი. ამ უკანასკნელმა მხოლოდ მეექვსე ადგილი დიაკავა (744 სმ).

სიმაღლეზე ხტომის სექტორში კი ანტონინა ლუბარევამ ორჯერ იყო ახლოს მიზანთან — განეახლებინა ჩვეულის რეკორდი (ლუჟნიკის სტადიონზე ქალებისათვის პირველად გაიდო თამახა 190 სანტიმეტრზე). მაგრამ ამაოდ. თუმცა მან გამარჯვებულმა დატოვა ასპარეზი — 183 სანტიმეტრი, რაც ამ შეჯიბრების ახალი მიღწევაა.

3. ლიახოვმა ბადრო 61 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე ტყორცნა და უველას აჯობა.

თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმაც. 400 მეტრზე ქალ მორბენალთა შორის უველაზე უკეთესი დრო უჩვენა 20 წლის ნატალია კულიჩკოვამ — 53,6 წამი.

მოსკოველმა არმიელმა ს. სარიბკამ გაიმარჯვა 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით სირბილში — 8 წუთი და 30.8 წამი.

გუშინ ასპარეზობა გრძელდებოდა. გაიმართა მთელი რიგი ფინალები. ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა გაიმარჯვა 5.000 მეტრზე სირბილში, ამასთან გაიმეორა თავისივე საკავშირო რეკორდი — 13.33,6.

ქალთა თარჯრბენში 100 მეტრზე კონკურენციის გარეშე იყო პოლონელი ზანუნა სტრასინსკაა — 13,2 წამი.

ვაუებში 110 მეტრზე თარჯრბენი მოიგო მინსკელმა დინამოელმა ვ. მიანსნიკოვმა, რომელმაც გაიმეორა ა. მოშაშვილის საკავშირო რეკორდი — 13,7 წამი. თვითონ რეკორდსმენი ფინიშთან მეორე მივიდა 0,2 წამის დაგვიანებით.

დაძაბულად მიმდინარეობდა რბენა 1.500 მეტრზე. ვაუთა შორის ასპარეზობის რეკორდით — 3.39,6 — გაიმარჯვა მინსკელმა ვ. ჟოლობოვსკიმ, ქალთა შორის კიეველმა თამარა პანგელოვამ — 4.14,7, რაც აგრეთვე ასპარეზობის რეკორდია.

ᲮᲔᲓᲐᲝᲑᲐ

ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ ᲮᲐᲚᲘᲩᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲐᲜ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (საკდესი). დღეს დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირადი ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში. სამი შეხვედრიდან ორი წმინდა გამარჯვებით დამთავრდა. უმჯობესს წონაში კიეველმა ანატოლი ხარიტონოვაძმა 5 წუთსა და 18 წამში ბეჭებზე დასცა ტაშკენტელი ყირლამ ახროსულოვი, ხოლო თბილისელმა როინ დოგორკაზინიძემ 8 წუთსა და 8 წამში დაამარცხა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავე მოსკოველი მიხეილ მაქსიმჩენკო.

მინსკში გამართული შეჯიბრება უკანასკნელი სერიოზული გამოცდაა მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობის წინ. ხალიჩაზე გამოვა თავისუფალი სტილის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭიდავე. ჩემპიონატში არ მონაწილეობს ცნობილი მოჭიდავე ალექსანდრე მედვედი. იგი ინდივიდუალური გეგმით ვარჯიშობს.

პირველ დღეს გაიმარჯვეს აგრეთვე მოსკოველმა რომან დმიტრიევმა, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ალექსი კარაკულოვმა, კიეველმა ივანე კულეშოვმა

შეჯიბრება სპორტის სასახლეში მიმდინარეობს. ასპარეზობაში 200-მდე მოჭიდავე მონაწილეობს, ჩემპიონები 11 ივნისს გამოვლინდებიან.

ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲕᲘᲜᲘᲩᲘ ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲪᲘᲐᲖᲔ

ᲓᲐᲣᲨᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲒᲚᲔᲗ ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲝᲡᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲘᲤᲐᲠᲘᲜᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲡ ᲩᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ — ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲜᲐᲯᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ. ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲢᲘ ᲨᲔᲯᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ „ᲚᲔᲒᲘᲐ“ — 5:2. ᲞᲐᲠᲢᲘᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲓ „ᲚᲔᲒᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲘᲜᲘᲣ ᲨᲔᲠᲩᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲓ „ᲚᲔᲒᲘᲐᲡ“ ᲛᲐᲜᲘᲣ ᲨᲔᲠᲩᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜᲐᲒᲐᲜᲘ.

ᲞᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲓ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲘ ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲖᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲘᲡᲬᲐᲛᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1972-73 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით (დღის დასწრებული) სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომიული, 2. აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, 3. მცენარეთა დაცვა, 4. აგრომელიორაცია, 5. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, 6. შიახრეშუმეობა, 7. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, 8. ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, 9. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები), 10. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, 11. მეღვინეობის ტექნოლოგია, 12. საკონსერვო წარმოების ტექნოლოგია, 13. სატყეო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები), 14. მიდრონმელიორაცია.

ინსტიტუტში შემსწავლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

ა) აგრონომიულ, მეცენარეთა დაცვის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის, აგრომელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობისა და მეაბრეშუმეობის სპეციალობებზე: ბიოლოგია* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ბ) სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის და სოფლის მეურნეობაში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობებზე: მათემატიკა* (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი). გ) სატყეო მეურნეობის, მეღვინეობის ტექნოლოგიისა და საკონსერვო წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობებზე: მათემატიკა* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი). დ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის; სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის და ჰიდრომელიორაციის სპეციალობებზე: მათემატიკა* (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა).

ინსტიტუტში ყველა შემსწავლელი აბარებს წერით გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში რუსულ სექტორზე.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული ზეპირი გამოცდები ჩატარდება წერითი ფორმით.

ოქრის ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ მაპროფილებელ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით. აღნიშნულ საგანში უმაღლესი (ხუთი) შეფასების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგანში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ და „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა სხვა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1972 წლის 13 მარტის ბრძანების თანახმად, მიმდინარე წელს უმაღლეს სასწავლებლებში შემსწავლელთა საკონკურსო შერჩევა ხდება არჩეული სპეციალობის მიხედვით გათვალისწინებულ დისციპლინებში მაღალ გამოცდებზე მიღებულ ქულათა საერთო რაოდენობისა და საშუალო განათლების დოკუმენტიდან ყველა დისციპლინის ნიშნების საშუალო არითმეტიკული საფუძველზე.

უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდგომ აღნიშნულ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩარიცხავენ მუდმივად სოფლად მცხოვრები პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი სასწავლებლად არჩეული სპეციალობებით: პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის თანაზომად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილებისა და წარმოდგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე. განცხადებას თან ერთვის:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ხოლო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების კურსდამთავრებულებს სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთა — სამხედრო ნაწილის მეთაურები. 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, რომელშიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი. ყოველი კალენდარული წლისათვის, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად ადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით: 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ინსტიტუტში შემსწავლელნი პირადად წარადგენენ: პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მოწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდინარე კომისიაში, თბილისი — 31, დიღომი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ავტობუსი 27 და 54.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას სსრკ ხალხთა ლიტერატურის ისტორიის (რუსთველოლოგია) სპეციალობით — 1 დასწრებული ადგილი.

მსურველებმა ინსტიტუტის დირექციას არაუგვიანეს ამა წლის 15 სექტემბრისა უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება დირექტორის სახელზე, 2. კადრების აღრიცხვის ფურცელი, 3. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი (დედანი), 4. სათანადო კათედრის საბჭოს რეკომენდაცია ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, 5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 6. ავტობიოგრაფია (ხელნაწერი), 7. ორი ფოტოსურათი 6×9, 8. ავტორეფერატი.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 ოქტომბრამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის დირექციას — თბილისი, ლენინის ქ. № 5, ტელეფონი 99-53-00.

დირექცია.



საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს სტუდენტთა მიღებას სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქის ქვეშოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში

1. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის, მათემატიკის, ბიოფიზიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობებზე:

2. მოსკოვის პიროგოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში ბიოფიზიკისა და ბიოქიმიის სპეციალობებზე:

3. მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში მართვის ავტომატიზებული სისტემის, სამაკიერო და საკომპრესორო მანქანებისა და დანადგარების სპეციალობებზე;

4. მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში ნახევარგამტარებიანი ხელსაწყოების სპეციალობაზე:

5. მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში პოლიგრაფიული მანქანების. პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნოლოგიის სპეციალობებზე:

6. მოსკოვის ხორცისა და რძის ნაკრამის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში რძისა და რძის ნაწარმის ტექნოლოგიის სპეციალობაზე:

7. მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში კინემატოგრაფიის ეკონომიკის სპეციალობაზე.

8. ლენინგრადის კინემატოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტში კინოაპარატურისა და ჩხის ტექნიკის სპეციალობებზე:

9. ლენინგრადის ოპტიკისა და ზუსტი მექანიკის ტექნოლოგიის ინსტიტუტში ოპტიკური ხელსაწყოების და სპექტროსკოპიის. ზუსტი მექანიკის სპეციალობებზე:

10. ლენინგრადის ქალალდის და ცელულოზის მრეწველობის ინსტიტუტში ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობაზე:

11. ლენინგრადის ვ. ი. ულიანოვის (ვ. ი. ლენინის) სახელობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტში ელექტრული ხელსაწყოების სპეციალობაზე;

12. როსტოვის სამშენებლო ინჟინერთა ინსტიტუტში სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის სპეციალობაზე;

13. ხარკოვის ავტომობილთა ინსტიტუტში საავტომობილო-სატრანსპორტო, საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკის და ორგანიზაციის სპეციალობებზე:

14. ოდესის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიის. ბორცისა და ხორცის ნაწარმის ტექნოლოგიის სპეციალობებზე;

15. კიევის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მსუბუქი მრეწველობის მანქანებისა და აპარატების სპეციალობაზე.

16. კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში სამადუღრო ნაწარმის ტექნოლოგიის, ხორცისა და ხორცის ნაწარმის ტექნოლოგიის, რძისა და რძის ნაწარმის ტექნოლოგიის სპეციალობებზე;

17. ივანოვის საფეიქრო ინსტიტუტში საფეიქრო მრეწველობის მანქანებისა და აპარატების სპეციალობაზე;

18. რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ბიოლოგიურად აქტიური შენაერთების ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობაზე;

19. ნოვოსიბირსკის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში კავშირგაბმულობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის სპეციალობაზე;

20. კუიბიშევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინთორმაციის გაცემისა და დამუშავების პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სპეციალობაზე;

21. კალინინგრადის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში თევზეულის სპეციალობაზე;

22. ასტრახანის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში თევზის ნაწარმის ტექნოლოგიის, ინტერფოლოგიისა და თევზმერის სპეციალობებზე:

23. მინსკის პედაგოგიურ ინსტიტუტში დეფექტოლოგიის სპეციალობაზე:

24. სუმბეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ერევანი) ფიზიკის. მათემატიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ქიმიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის, სომხური ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე;

25. ერევნის რუსული ენისა და უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სპეციალობებზე.

26. აზერბაიჯანის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ქ. ბაკო) მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ქიმიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკის და მეთოდიკის სპეციალობებზე.

შენიშვნა: სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში სასწავლებლად წარგზავნილი იქნებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საქართველოს სსრ სოფლების სომხური და აზერბაიჯანული საშუალო სკოლები.

განცხადება მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ შეტანილ უნდა იქნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 3, მეორე კორპუსი ა. წ. 3-დან 15 ივლისამდე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე, მეხუთე კურსის ის სტუდენტები, რომლებსაც აქვთ წარჩინებული აკადემიური წარმატება, შეიძლება გადაყვანილ იქნან სწავლის გასაგრძელებლად შესაბამის სპეციალობაზე:

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ფიზიკა და უცხო ენების სპეციალობაზე:

განცხადება მაღალ კურსებზე გადაყვანის შესახებ შეტანილ უნდა იქნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 3, მეორე კორპუსი, ოთახი 39 ა. წ. 10 ივლისამდე) გარდა კვირადღეებისა, 16-დან 19 საათამდე.



პირველი, საღ ისწავლი

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

1972-73 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას სამსახიობო, სარეჟისორო (ტელევიზიის განყრით), კინოვცოდნეობის ფაკულტეტზე და მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე (ცვლა — დღის დასწრებული)

სამსახიობო ფაკულტეტი ამზადებს დრამისა და კინოს მსახიობებს, **სარეჟისორო ფაკულტეტი** — რეჟისორებს ტელევიზიისთვის, **კინომცოდნეობის ფაკულტეტი** — კინოკრიტიკოსებს, კინოს ისტორიკოსებს, თეორეტიკოსებს, **მუსიკალური კომედიის** განყოფილება — მუსიკალური თეატრისა და ესტრადის მსახიობებს.

სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლების ვადა 4 წელია, **სარეჟისორო, კინომცოდნეობის ფაკულტეტებსა და მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე — 5 წელი.** სამსახიობო ფაკულტეტსა და მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 25 წლის ასაკამდე, სარეჟისორო და კინომცოდნეობის ფაკულტეტზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 35 წლის ასაკამდე.

1. სამსახიობო ფაკულტეტზე შემსვლელი აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას სპეციალობაში:

ა) აბიტურიენტებმა უნდა მოამზადონ შესასრულებლად სხვადასხვა ავტორის რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები. მათ რიცხვში ლექსი, იგავ-არაკი, პროზა (მოცულ მოთხრობა ან ნაწყვეტი ბელეტრისტიკულ ნაწარმოებიდან). შესასრულებელი ნაწარმოებები უნდა შეირჩეს შინაგარსისა და ფორმის მიხედვით: უნდა შეასრულოს არართული სცენური ეტიუდი, შერჩეული საგამოცდო კომისიის მიერ.

ბ) მუსიკალური მონაცემების შემოწმება (სმენა, რიტმი),

გ) გაკაუბრება. რომელიც გამამკოვნებს აბიტურიენტის კულტურის საერთო დონეს და (ოონას თეატრისა და დრამატურგიის დარგში.

II. სარეჟისორო ფაკულტეტზე (ტელევიზიის განყრით) აბიტურიენტები გაიცხადებასთან ერთად წარმოადგენენ საშინაო წერითის სამუშაოს (დრამატული ნაწარმოების ან კინოფილმის ანალიზს). კინომცოდნეობის ფაკულტეტზე აბიტურიენტები გამოცდას აბარებენ სპეციალობაში:

ა) წერა (რეცენზია კინოფილმზე); ბ) კოლოკვიუმი, რომელიც გამომკოვნებს აბიტურიენტის კულტურის საერთო დონეს, კინოს ისტორიისა და თანამედროვე კინოს საკითხების ცოდნას.

IV. მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე — აბიტურიენტები აბარებენ მისაღებ გამოცდას სპეციალობაში, ისე ერთიც სამსახიობო ფაკულტეტზე შემსვლელი აბიტურიენტები. გარდა ამისა დამატებით

2. გამოცდა რეჟისურაში: ა) გამოცდაზე შესრულებულ უნდა იქნას წერითი ნამუშევარი საგამოცდო კომისიის მიერ შერჩეულ თემაზე.

ბ) პრაქტიკული რეჟისურა;

გ) კოლოკვიუმი.

III. კინომცოდნეობის ფაკულტეტზე — აბიტურიენტები განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ საშინაო წერითს სამუშაოს (დრამატული ნაწარმოების ან კინოფილმის ანალიზს). კინომცოდნეობის ფაკულტეტზე აბიტურიენტები გამოცდას აბარებენ სპეციალობაში:

ა) წერა (რეცენზია კინოფილმზე); ბ) კოლოკვიუმი, რომელიც გამომკოვნებს აბიტურიენტის კულტურის საერთო დონეს. კინოს ისტორიისა და თანამედროვე კინოს საკითხების ცოდნას.

IV. მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე — აბიტურიენტები აბარებენ მისაღებ გამოცდას სპეციალობაში, ისე ერთიც სამსახიობო ფაკულტეტზე შემსვლელი აბიტურიენტები. გარდა ამისა დამატებით აბარებენ გამოცდას ვოკალში (რომ ან სამი მუსიკალური ნაწარმოების შესრულება).

საერთო განათლების საგნებიდან სამსახიობო, სარეჟისორო, კინომცოდნეობის ფაკულტეტებსა და მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე შემსვლელნი აბარებენ: 1. ქართული ენასა და ლიტერატურას (წერა, ზეპირი); 2. სსრკ ხალხთა ისტორიას (ზეპირი).

სარეჟისორო და კინომცოდნეობის ფაკულტეტზე პირველ რიგში მიიღებიან ის აბიტურიენტები, რომლებსაც აქვთ კულტურის დარგში პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე, აბიტურიენტის მიერ არჩეული ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას თან უნდა დაერთოს: დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული პარტიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, კოლმეურნეობის გამგეობის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ (საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი დახასიათებას წარმოადგენენ სამხედრო ნაწილის მეთაურისაგან). ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286); 4 ფოტოსურათი (ზომით 3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სარეჟისორო და კინომცოდნეობის ფაკულტეტზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ ავტორეფერატი ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (დამოწმებული საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ).

საბუთების შეტანისას აბიტურიენტი პირადად წარმოადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროელდებულნი) ან მოწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადება მიიღება 10 ივნისიდან 10 ივლისამდე მიმღები კომისიის პასუხისმგებელ მდივანთან ყოველდღე 2 საათიდან 5 საათამდე, შაბათს 12 საათიდან 3 საათამდე.

კონსულტაციები ჩატარდება 1 ივლისიდან 10 ივლისამდე, შერჩევითი გამოცდები — 6 ივლისიდან 12 ივლისამდე.

გამოცდები დაიწყება 12 ივლისს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 17, ტელეფონი 99-94-11; 99-00-28; 99-00-36, დამატებითი 65.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1972 წლისათვის

წარმოებისაგან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობებზე:

კერძო ზოოტექნიკა — 2. სას.-სამ. ცხოველთა კვება და კვების ტექნოლოგია — 1 ადგილი:

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არა უმეტეს 35 წლისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა არჩეული სპეციალობის ვიხედვით. უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები.

1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით და ავტობიოგრაფია. 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის დამოწმებული პირი, 3. დასასრული

1 ივლისიდან — 12 საათზე ბოლდო პარამენიანძე ქავთარია ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის განვითარებისა და განლაგების ოპტიმალური სქემის შემუშავების პრობლემა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

9 ივნისი

პირველი პროგრამით

11.05 — კინონარკვევი — „მოჩვენებათა ველი“, 11.15 — „ურღვევი კავშირი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — „გაქცევა“ (1 სერია), 16.35 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.20 — ლექცია მათემატიკაში, 18.05 — ახალი ამბები; 18.10 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი“, 18.40 — „გადგაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 19.10 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.30 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები — მოქმედებაში“ „ახალგაზრდა მეცნიერები — წარმოებას“, 20.00 — „სოციალიზმის სამყარო“, საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „სსრკ-50“. „მოძმე რესპუბლიკების მწერლები ქართულ ენაზე“, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. საესტრადო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — „გაქცევა“ (II სერია).

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ბაზვაში, 19.20 — ლექცია სკკპ ისტორიაში, 20.05 — განცხადებები, 21.10 — კინონარკვევი — „სპორტის დედოფლის სიდიადენი“, 21.10 — მხატვრული ფილმი — „ანა კარენინა“ II სერია).

10 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 სტუდენტთა დასახმარებლად, ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.10 — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 12.10 — კინონარკვევი „მუშა“, 12.25 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — ფილმი-ოპერეტა — „ლაღი ქალი“, 14.25 — „შეიცნოთ ავტომობილი“, 14.45 — კინონარკვევი „გამაგრდი უნაგირში“, 15.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „აზროვნებენ თუ არა ცხოველები?“ (ქართულ ენაზე), 16.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები — მოქმედებაში“ „მეხუთე დღე“, 17.15 — კინონარკვევი „მომთაბარე სერპანტინები“, 17.30 — „სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხები ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — მოსწავლეთათვის — „სტუმრად მხატვრებთან“, 18.25 — სატელევიზიო ფილმი — „კრიბლე, კრამლე, ბუმო“, 18.50 — „დეპუტატის ფოსტა“, 19.10 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.35 — მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „ძიება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — საქართველო კაიროს საერთაშორისო ბაზრობაზე, 21.05 — ჩვენი სტუმრები, 21.35 — „პირველი ქართული ფილმი“, 22.00 — ვრემია — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „მთელი სამეფო რეუბატა“ (მე-2 სერია).

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 19.20 — კონცერტი, 20.00 — მხატვრული ფილმი „ტომ სოიერის თავგადასავალი“.

დირექტორი

დ. მჭედლიშვილი.

ქუთაისის სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972-73 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმს აქვს შემდეგი სპეციალობები:

1. ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიის,
2. საავეჯო წარმოების,
3. ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების,
4. საავტომობილო გზების მშენებლობა-ექსპლოატაციის,
5. ცელულოზა-ქაღალდის და ხეს დამამუშავებელი მრეწველობის დაგეგმვის,
6. ბუღალტრული აღრიცხვის,
7. სატყეო მრეწველობის და სატყეო მეურნეობის დაგეგმვის.

მიღების წესები

პირველ და მეორე კურსებზე (დასწრებული განყოფილება) და მესამე კურსზე (დაუსწრებელი განყოფილება) ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს. დაუსწრებელ განყოფილებაზე ასაკი არ ისაზღვრება.

პირველ კურსზე მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება (7-8 კლასი). სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და 6 თვე.

მეორე კურსზე მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც აქვთ მიღებული სრული საშუალო განათლება (10-11 კლასი). სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვე.

მესამე კურსზე (დაუსწრებელი განყოფილება) მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც აქვთ მიღებული სრული საშუალო განათლება (10-11 კლასი), სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

პირველ კურსზე.

1. ქართული ენა და ლიტერატურა — წერა (მოთხრობის შინაარსი). 2. მათემატიკა (ზეპირი),

მეორე და მესამე კურსებზე დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე საშუალო სკოლის პროგრამით (გარდა ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების სპეციალობისა). 1. ქართული ენა და ლიტერატურა (თხზულება) 2. მათემატიკა.

ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების სპეციალობაზე შემსვლელი 10 კლასდამთავრებული გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (თხზულება).
2. ქიმია (ზეპირი).

განცხადებები მიიღება 15 ივნისიდან 5 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 5 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრებელი ბინით და სტიპენდიით, თანახმად არსებული ინსტრუქციისა.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. დაბადების მოწმობა (დედანი), 4. სამი ცალი ფოტოსურათი 3X4, 5. გადაღებული უქუდოდ, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 6. ცნობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, 7. შრომის წიგნაკის ამონაწერი, დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ (კოლმეურნეობის წევრებისთვის საკოლმეურნეო შრომის წიგნაკის ამონაწერი. დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მიერ).

აღნიშნულ ცნობას აგზავნენ ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

8. სამხედროვალდებულნი სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას აგზავნენ პირადად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტექნიკუმის დირექციას. შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი, № 88.

ტელეფონი 5-81-91 ან 5-47-10.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

359008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03 09, პ/მ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-00, ოცნოლოგის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ - ᲘᲜᲓᲔᲚᲘ 65443 УЗ 02564

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 359008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.